გამოხმაურება

ელენე გოგიაშვილი

ზღაპრის გმირი – „უთვისებო კაცი“

ხალხური ზღაპარი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მეცნიერებათა სრულიად განსხვავებულ სფეროებში. არ დარჩენილა კვლევის არც-ერთი მცდელობა ისე, რომ ზღაპარში სათანადო არგუმენტები ვერ აღმოეჩინა და თავად ზღაპრის შესწავლის ისტორიაში თავისი კვალი არ დაეტოვებინა. თავის მხრივ, ფოლკლორისტიკისთვისაც მნიშვნელოვანი იყო მომიჯნავე მეცნიერებათა მეთოდები. მაგალითად, ფსიქოანალიტიკოსებისა და სიღრმის ფსიქოლოგების (ფროიდის, იუნგის, ადლერისა და მათი მიმდევრების) ინტერპრეტაციებმა განაპირობა ფოლკლორისტთა მიერ ზღაპრის დაკავშირება ინიციაციის რიტუალებთან.

ზაზა კვერცხიშვილის სტატია „ზღაპრის გმირი – „უთვისებო კაცი“ (კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, 1/2009, გვ. 285-293) ხალხური ზღაპრის პერსონაჟის ხასიათის თავისებურებას ეხება. რთული, ორსვლიანი კომპოზიციის მქონე ორი ზღაპრის („დევის საყვარელი და ამისი შვილი“ და „ხმელი ქურანი“ პ. უმიკაშვილის კრებულიდან) დეტალური ანალიზისა და ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოების (რეი ბრედბერის „მარსელი“) შედარების საფუძველზე სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხალხური ზღაპრის პერსონაჟი დიამეტრულად განსხვავებულ თვისებებს ავლენს და პიროვნული თვისებები არ გააჩნია.

ვფიქრობ, ავტორისთვის საინტერესო იქნება შენიშვნები კონტამინირებული სიუჟეტის, თხრობის კონტექსტისა და ზღაპარში სისასტიკის ასახვის შესახებ.

1) პერსონაჟის ფუნქცია და კონტამინირებული ზღაპარი. სტატიაში განვითარებული მსჯელობა და მოყვანილი მაგალითები ემსახურება შესავალშივე გამოთქმულ თვალსაზრისს:

„თუ ზღაპრის გმირი კომპოზიციური სტრუქტურის შეცვლისთანავე

დიამეტრულად იცვლის ბუნებას, მაშასადამე, მას არანაირი პიროვნული თვისება არ ჰქონია და მისი ბუნება (სიკეთე ან ბოროტება) მთლიანად ამა თუ იმ კომპოზიციურ სტრუქტურაში მის ფუნქციაზე ყოფილა დამოკიდებული“ (გვ. 285).

ზღაპრის პერსონაჟის „პიროვნულობის“/„არაპიროვნულობის“ საკითხი ფოლკლორისტიკაში ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო და ბევრი მეცნიერის (მ. ლიუთი, ლ. რერიხი, ე. მელეტინსკი, თ. ქურდოვანიძე, რ. ჩოლოყაშვილი) შესწავლის საგანს წარმოადგენდა. ჯადოსნური ზღაპრის პოეტიკის ერთ-ერთი ჟანრობრივი სპეციფიკური ნიშანია ის, რომ ზღაპარი არ გადმოსცემს გმირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომებში ხალხური ზღაპრის შესახებ ეს საგანგებოდ ხაზგასმულია (Lüthi, Max: Das europäische Volksmärchen. Form und Wesen. Bern/München 1960; Röhrich, Lütz: Märchen und Wirklichkeit. Wiesbaden 1964; Röhrich, Lütz: Sage und Märchen. Erzählforschung heute. Freiburg/Basel/Wien 1976; Мелетинский, Э. М.: Миф и сказка. В «Фолькор и этнография», Москва 1970, стр. 132-148; თ. ქურდოვანიძე: ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი. თბილისი 1983; ჩოლოყაშვილი, რ.: ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპრების გმირთა გენეტიკური კავშირი, – ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბ. 2003, გვ. 446-451). ინდივიდუალობის ნიშნები, ხასიათი და ტიპი მოგვიანებით, ჩანასახების სახით გაჩნდა ხალხურ ნოველაში, ე.წ. საყოფაცხოვრებო ზღაპარში.

ზ. კვერცხიშვილის სტატიაში განხილული ზღაპრების ლიტერატურის კრიტიკოსის პოზიციიდან არის შეფასებული: „თუკი ზღაპარში, როგორც სიტყვიერების ჟანრში, როგორც ნარატივის (მონათხრობის) ტიპში, პერსონაჟებს ჩანასახოვან დონეზე მაინც აქვთ ხასიათები, პიროვნული თვისებები, არ უნდა მოხდეს ამ თვისებების შეცვლა რაიმე მოტივირების გარეშე“ (გვ. 290).

ზღაპრის გმირის ფუნქციები ერთი და იგივეა ყველა ჯადოსნურ ზღაპარში: 1) სახლიდან გასვლა, 2) მჩუქებლის მოთხოვნაზე რეაქცია, 3) ანტაგონისტთან ბრძოლა, 4) ქორწილი და 5) შინ დაბრუნება (ვ. პროპი: ზღაპრის მორფოლოგია. თბილისი 1984, გვ. 121). ამავე დროს, ჩვეულებრივი მოვლენაა პერსონაჟთა ფუნქციების ურთიერთგაცვლა, განსაკუთრებით კი, გმირის ფუნქციების შემწის მიერ შესრულება (კერძოდ, ATU 505, ATU 506, ATU 507 ტიპებში). ბევრგან, „ხმელი ქურანის“ მსგავსად, მთავარ პერსონაჟად შემწე გვევლინება და არა გმირი. ასეთი ზღაპრები ცალკე კომპოზიციურ ტიპს განეკუთვნებიან და არა ნაკლოვან ან არასრულყოფილ ტექსტებს. ამგვარი ზღაპრები რამდენიმე სიუჟეტისგან შედგებიან და კონტამინაციის შედეგად იქმ-

ნება პერსონაჟის ის წინააღმდეგობრივი ბუნება, რასაც ზ. კვერცხიშვილი „თვისებების მოტივირების გარეშე შეცვლას“ უწოდებს.

ძალიან საინტერესოა ავტორის დაკვირვება: „ზღაპრის გმირები რაღაცით ჰგვანან ერთი ამერიკული ფანტასტიკური ნოველის (რეი ბრედბერის „მარსელი“) პერსონაჟს – მარსის მკვიდრ უცნაურ არსებას, რომელსაც თავისი არაფერი გააჩნია: არც გარეგნობა, არც ხმა, არც აზრები, არც პიროვნული თვისებები, არც სქესი, არც ასაკი, არც სახელი... ყველაფერ ამას იგი იმ ადამიანის მეშვეობით იძენს, ვის გვერდითაც მოხვდება“ (გვ. 293).

ფოლკლორისტის პოზიციიდან, მცირე შესწორებაა შესატანი პირველ წინადადებაში („ზღაპრის გმირები რაღაცით ჰგვანან ერთი ამერიკული ფანტასტიკური ნოველის...“): სასურველი იყო სათაურების დასახელება. სტატიაში განხილულია კონკრეტული ზღაპრების სიუჟეტები, რომელთა შეფასების განზოგადება მთელ საზღაპრო ეპოსზე ყოვლად დაუშვებელია. ზღაპრის კომპოზიცია თუ უცვლელი ელემენტია, სიუჟეტური ტიპების რაოდენობა ორი ათას სამასს აჭარბებს. ზღაპრის მხოლოდ ერთი ტიპის პერსონაჟის მიხედვით საერთოდ ზღაპრის გმირის საქციელზე მსჯელობას ვერ განვაზოგადებთ. ჯადოსნური ზღაპრის სხვა ტიპებზე დაკვირვება განსხვავებულ ინფორმაციას გვაძლევს გმირის ეთიკური ქმედებების შესახებ.

2) თხრობის ზეპირი ტრადიციის თავისებურება. ავტორი კრიტიკულად შენიშნავს, რომ განხილული ზღაპრის მთხრობელსა და ჩამწერს არ აინტერესებთ პერსონაჟთა ხასიათების არამოტივირებული ცვლილებები და, ამდენად, არც ტექსტის გამართულობა მხატვრული თვალსაზრისით (გვ. 292-293).

ზეპირსიტყვიერი და ლიტერატურული ნაწარმოებები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფენომენებია. ფოლკლორული მასალის ფიქსაციის დროს ძალიან მნიშვნელოვანია მისი ავთენტური სახით წარმოდგენა. ის, რასაც ზ. კვერცხიშვილი ჩანაწერის ნაკლოვან მხარედ და მთხრობლისა და ჩამწერის გულგრილობად მიიჩნევს, სინამდვილეში სიზუსტის დაცვაა ჩაწერის პროცესში და განსაკუთრებულად ღირებულია ფოლკლორის ჟანრული თავისებურებების შესწავლისას. მით უმეტეს, დასაფასებელია ტექსტის ასეთი სიზუსტით ჩაწერა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ფოლკლორის შეკრება ახალდაწყებული იყო საქართველოში.

ფოლკლორული ტექსტის რედაქტირება და დამუშავება გამართლებულია მხოლოდ პოპულარული გამოცემებისთვის. სხვა შემთხვევაში, კერძოდ, აკადემიურ გამოცემაში ტექსტი ავთენტური სახით უნდა დაიბეჭდოს. ამით შესაძლებელი ხდება თხრობის ფენომენზე

დაკვირვება და „სრულყოფილი“ და „არასრულყოფილი“ ტექსტების შედარება.

თანამედროვე ფოლკლორისტიკაში ზეპირსიტყვიერების ნებისმიერი ჟანრის წინარე ფორმის დადგენა ანუ არქეტიპის რეკონსტრუქცია არათუ დიდ სირთულესთან და უზუსტობებთან არის დაკავშირებული, არამედ არამეცნიერულადაც მიიჩნევა. არსებითად ეს ეხება ფილოლოგიური პრინციპების ზეპირ გადმოცემაზე გადატანას. ფილოლოგიის ტექსტუალური კრიტიკის მეთოდები მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ ხელნაწერისა და ტექსტის ისტორიის კავშირის მეშვეობით უძველესი შინაარსი იქნას დადგენილი. სრულყოფილი ტექსტის აღდგენა ფოლკლორული მასალის შემთხვევაში მხოლოდ რომანტიკული სურვილია, რომ ისტორიულად ადრე არსებული ფორმის უპირატესობა დამტკიცდეს. დასავლეთ ევროპელი ფოლკლორისტები დღესდღეობით არ ენდობიან არქეტიპს, რადგან ის მყარ საფუძველს ვერ ქმნის შემდგომი ინტერპრეტაციისთვის.

ზეპირად გადაცემული ტექსტი ეკუთვნის თხრობის ცოცხალ პროცესს, რომელშიც ჩანაწერები მხოლოდ ფიქსაციას წარმოადგენენ. ზეპირსიტყვიერების სხვა თხრობითი ჟანრებისგან განსხვავებით, ზღაპარი მხატვრული გამონაგონია, რომელსაც საზოგადოებაში თავისი სოციალური ფუნქციები აქვს (გასართობი, სარიტუალო, აღმზრდელობითი). ზღაპარი არც მთხრობლისა და არც მსმენელის მიერ არ არის აღქმული ნამდვილ ამბად. თქმულებასა და ლეგენდაში, პირიქით, ამბის ნამდვილობაში დარწმუნების ტენდენცია ჭარბობს. ზღაპრის მთხრობელი არ ჩაეძიება გმირების პირადი ცხოვრების დეტალებს, რითაც, ადვილი შესაძლებელია, დაინტერესებულიყო ნამდვილად მომხდარი ამბის შემთხვევაში. ამას ზ. კვერცხიშვილიც სამართლიანად შენიშნავს (გვ. 292-293).

სტატიაში დასმული საკითხი, რომელიც მთხრობელის მონათხრობისადმი დამოკიდებულებას ეხება, მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ თანამედროვე ფოლკლორისტიკაში აქტუალურია ყოფის ემპირიული კვლევა – მთხრობლებისა (homo narans) და თხრობის კონტექსტის შესწავლა, შესრულების ტრადიციები და სხვ. ამ მხრივ საინტერესოა სხვადასხვა მეცნიერებათა მეთოდები. ზ. კვერცხიშვილის დაკვირვება მთხრობლისა და ჩამწერის პოზიციის თაობაზე საყურადღებოა ფოლკლორისტებისთვის მასალის გარეტექსტური ფუნქციების (სოციალური გარემო, ლინგვისტური და კოგნიტური კონტექსტები, კულტურულ-ისტორიული პირობები) შესწავლის თვალსაზრისით.

3) კანიბალიზმი ზღაპარში. ციტატაზე, რომელიც ზღაპარში „დევის საყვარელი და ამის შვილი“ კანიბალიზმის ელემენტებს ადასტურებს,

დართულია კომენტარი: „კანიბალიზმის ეს არაორაზროვანი აჩრდილი ახსნას მოითხოვს“ (გვ. 286). შემდგომ მოყვანილია მაგალითები ორი ზღაპრიდან, მაგრამ ავტორი მხოლოდ მათი აღწერით შემოიფარგლება და მაინც უპასუხოდ რჩება კითხვა, თუ რას ემსახურება სისასტიკის ასახვა ხალხურ ზღაპარში.

ფოლკლორისტიკასა და ეთნოლოგიაში ამ საკითხის მეცნიერულ შესწავლას საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ხშირია დისკუსიები ზღაპრებში სისასტიკის არსებობის გამო სხვა სამეცნიერო სფეროების წარმომადგენელთა წრეებშიც. 1970-80-იან წლებში ევროპა, ერთი მხრივ, ანტი-ზღაპრის განწყობამდე – „ბოროტება მოდის საბავშვო წიგნებიდან“ (Gmelin, O. F.: Böses kommt aus Kinderbüchern. München 1972; Mallet, K.-H.: Kopf ab! Gewalt im Märchen. Hamburg/Zürich 1985), მეორე მხრივ, ზღაპრის ხელახალ აღმოჩენამდე მივიდა – „ბავშვებს ზღაპრები სჭირდებათ“ (Bettelheim, B.: Kinder brauchen Märchen. Stuttgart 1977). ძმები გრიმების კრებულის კრიტიკა არასპეციალისტების მხრიდან დღემდე არ ცხრება. „საბავშვო და საოჯახო ზღაპრებს“ საკონცენტრაციო ბანაკებზე პასუხისმგებლობაც კი დააკისრეს. თავისთავად KHM-ის ზღაპრები ხოტბას არ ასხამენ სიძულვილს, მაგრამ უახლოესი წარსულისა და თანამედროვე გამოცდილებამ ამ საკითხზე მეტად მგრძნობიარე გახადა ევროპელი საზოგადოება და დაავიწყა, რომ სისასტიკე მხოლოდ გრიმების ზღაპრებში არ გვხვდება.

ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სისასტიკის ასახვას ზღაპრებში არა მარტო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური, არამედ ლიტერატურულ-სტილისტური და სოციალური საფუძველი აქვს. ასეა ქართულ ზღაპრებშიც.

ზღაპრებში ასახული უამრავი მოვლენა მაგიურ წარმოდგენებსა და რიტუალურ ქმედებებს უკავშირდება. ადამიანის მსხვერპლშეწირვის ელემენტები, რომელთაც „დევის საყვარელისა და ამის შვილის“ ზღაპარში ვხვდებით, სავარაუდოდ ამგვარი წეს-ჩვეულების ანარეკლს შეიცავს. სისხლიანი მსხვერპლის მაგალითები უხვადაა ხალხურ ზღაპრებში, განსაკუთრებით ATU 516 ტიპის ტექსტებში, სადაც უდანაშაულო სისხლი გმირის გაცოცხლების ერთადერთი გზაა. ზღაპრული და მითოსური მოტივები გვამის დანაწევრების, ძვლის მოხარშვისა (შდრ. პელოპსის მითი) და სხვათა შესახებ სამონადირეო წეს-ჩვეულებების შემადგენელი ნაწილია. ზღაპრული ზებუნებრივი არსებები (კუდიანი დედაბრები, დევები, ჯადოქრები, ეშმაკები) რომ კაცის ხორცს ჭამენ, ამას მაგიური კანიბალიზმის სახე აქვს და მაქციობის რწმენის უძველეს შრეს ასახავს. ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორში ეს მოტივები დაკავშირებულია როგორც სამონადირეო ტრადიციებთან,

ასევე მოკვდავ და აღდგენად ღვთაებების მითოსთან (დაწვრილებით იხ. ირაკლი სურგულაძის სტატიები „გაცოცხლების იდეა ქართულ მითოსში და მისი რეალიზაციის ისტორიული ფორმები“ და „ნებითი მსხვერპლი ქართულ მითოსსა და რიტუალში. მისი კულტურულ-ისტორიული ასპექტები“ კრებულში ი. სურგულაძე: მითოსი. კულტი. რიტუალი საქართველოში. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2003).

მოტივები, რომლებსაც მითოსურ სიუჟეტში სემანტიკური მნიშვნელობა აქვთ, ახლებური მნიშვნელობით იტვირთებიან ყოველ ახალ კულტურულ-ისტორიულ და რელიგიურ გარემოში. კანიბალიზმი ზღაპარში არ შეიძლება დღევანდელობის ან თუნდაც მე-19 საუკუნის კონტექსტში განვიხილოთ. ამ მოტივებს მრავალმხრივი კავშირი აქვს ისტორიულად არსებულ რწმენა-წარმოდგენებთან და ისინი მუდმივად ისტორიულ ასპექტთან უნდა იყოს შეფარდებული. სისასტიკე ზღაპარში სტრუქტურულ პირობითობას წარმოადგენს. ნეკი თითის მოჭრა ზემოთაღნიშნულ ზღაპარში ცხადყოფს, რომ სისასტიკეს ზღაპრის თხრობაში ტექნიკურ-ეპიკური ფუნქცია აკისრია როგორც დაძაბულობის ელემენტს. ადამიანის მსხვერპლს ზღაპარი ხედავს როგორც თხრობით გამოწვეულ აუცილებლობას. გმირის მსხვერპლი არის არა ტრაგიკული სინამდვილე, არამედ მხოლოდ ხიფათი.

კანიბალიზმის ელემენტები ზღაპარში დამაინტრიგებელ ფორმულებს ქმნიან. ამას ზ. კვერცხიშვილიც შენიშნავს სტატიაში: „ზღაპრისთვის, როგორც ჟანრისთვის, დამახასიათებელია გასაჭირის, საფრთხის უკიდურესი, ექსტრემალური ხასიათის ხაზგასმა“ (გვ. 286). ისიც ზღაპრის სტილის პრინციპია, რომ სხეული არ არის მგრძნობიარე დასახიჩრების დროს. ზღაპარში არ არსებობს „გრძნობა“. არც დაზარალებული მთავარი გმირები და არც დასჯილი მოწინააღმდეგეები არ ჩივიან სისასტიკეზე და არც ტკივილზე ამბობენ რამეს.

სხვა ჟანრებში (არა მარტო ფოლკლორულში) სისასტიკე არანაკლებ როლს თამაშობს ჟანრის სპეციფიკისთვის. აგიოგრაფიული ლიტერატურა სასტიკი წამების მოტივთა მდიდარ რეპერტუარს შეიცავს. მარტვილობები მე-15-16 სს. კათოლიკურ კედლის მხატვრობაში რეალისტურად არის ვიზუალიზირებული (Röhrich, L.: Grausamkeit. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 6. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1990, S. 97-110). აგიოგრაფიულ მოთხრობებში ისევე როგორც ზღაპრებში სისასტიკის რეალისტური ასახვა თხრობითი ფუნქციის მატარებელია.

სისასტიკის თემა პოპულარულია ანეკდოტებშიც. გვამის დანაწევრებისა და კანიბალიზმის გარდა ანეკდოტის ერთ-ერთი ჟანრული თავისებურება სულიერი სისასტიკის ასახვაა – ანეკდოტები ხეიბრებისა და სულით ავადმყოფებზე, თვითმფრინავის კატასტროფებზე,

გაუხსნელ პარაშუტებზე და სხვ. ყველაზე საშინელ შემთხვევებზეც კი, როგორიცაა ატომური ბომბის აფეთქება ან მასობრივი მკვლელობა – იქმნება ანეკდოტი. ფსიქოანალიტიკური თეორიის თანახმად, სასტიკი ანეკდოტები უკურეაქციას ემსახურებიან.

„დევის საყვარელი და ამის შვილი“ ახლოს დგას ფანტასტიკის ჟანრთან და ამას ზ. კვერცხიშვილიც მიუთითებს, როცა ამ ზღაპარის პერსონაჟების ბრედბერის ნოველასთან მსგავსებას აღნიშნავს (გვ. 293). შეიძლება მას „საშინელებათა“ ზღაპარიც კი ვუწოდოთ, რაც ლიტერატურათმცოდნეობასა და ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული ტერმინია იმ მოთხრობების აღსანიშნად, რომლებიც სხვადასხვა შემზარავ, შიშის მომგვრელ შემთხვევებზე გვიამბობენ.

ზაზა კვერცხიშვილის სტატიის წაკითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოებების შედარება საინტერესო ფაქტების წინაშე გვაყენებს. ავტორის ინტერპრეტაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საზღაპრო რეპერტუარის მრავალფეროვნება ჯადოსნური ზღაპრის კვლევის უამრავ პერსპექტივას შლის და, გარდა ფოლკლორისტიკისა, სხვა მეცნიერებათა დაკვირვების ობიექტსაც წარმოადგენს. ამასთან, ზღაპრის ნებისმიერი ასპექტის შესასწავლად გასათვალისწინებელია ზეპირ და ლიტერატურულ ტრადიციათა შორის არსებითი განსხვავება და ზღაპრის ჟანრული თავისებურებები (კომპოზიციის მთლიანობა, კონტამინაცია და მისი გავლენა კომპოზიციაზე, მხატვრული გამოსახვის ენობრივი საშუალებები, მხატვრული გამონაგონის ფუნქცია და სხვა), რომელთა გარეშეც ზღაპრის ნებისმიერი ინტერპრეტაცია მხოლოდ ინტელექტუალური კონსტრუქცია იქნება და არა რეალური, არამედ ჰიპოთეტური ტექსტი.

შემოკლებათა ახსნა

ATU: Uther, Hans-Jörg: The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004.

KHM: Grimm, Brüder: Kinder und Hausmärchen. München: Winkler, 1996.